

თავისუფალი დრო

რას საქმიანობს იპონელი ხალხი მოცალოების ჟამს

დასვენების სახეობები იაპონიაში



ოჯახური პიკნიკი არდადეგებზე
(ფოტო AFLO-სგან)

დასვენებისადმი ინტერესი იაპონიაში გაიზარდა 1950 წლის მიწურულს. ომის შემდგომ წლებში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად “დასვენება“ იქცა მოდურ სიტყვად. გამაჯანსაღებელი საშუალებები, როგორცაა ცხელი წყაროების კურორტები, კარგად განვითარდა იაპონიის ყველა კუთხეში.

1960 წელს, როცა იაპონიაში დაიწყო ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის პერიოდი, მიუხედავად იმისა, რომ გაფართოვდა ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა, ჩქაროსნული ავტოსტრადებისა და შინკანსენის ჩქაროსნული მატარებლების ხაზების ჩათვლით, სულ უფრო მეტმა ადამიანმა დაიწყო ავტომობილის გამოყენება. ამის შედეგად

გაფართოვდა ჯგუფური ტურები და ოჯახური მოგზაურობები საკუთარი ავტომანქანებით. უფრო მეტიც, გაიზარდა უცხოეთში მოგზაური იაპონელების რიცხვი, მას შემდეგ, რაც ბევრმა საზღვარგარეთის ქვეყანამ მოხსნა შეზღუდვები ტურისტული დანიშნულების ადგილებზე. ამ დროისთვის გასართობი პარკების, ისევე როგორც სპორტული ნაგებობების, ბურთის სათამაშო მწვანე მოედნებისა და გოლფის კურსების რაოდენობა სწრაფად გაიზარდა, რამაც აქტიური დასვენება ხელმისაწვდომი გახადა უფრო მეტი ადამიანისთვის.



ცხელი წყაროების კურორტი

1970 წელს ისეთი დასვენების სახეობები იყო პოპულარული, რომელიც არ იყო ძვირი და მოხერხებულ ადგილზე იყო განლაგებული და რასაც დიდი დრო არ სჭირდებოდა, როგორცაა: სპორტი, თამაშის არკადების მონახულება ან კულტურულ ცენტრებში სიარული.

1983 წელს, როდესაც ბაზარზე საოჯახო კომპიუტერის ვიდეო თამაშები პირველად შემოვიდა, დასაბამი დაედო კომპიუტერულ ვიდეო თამაშების სხვადასხვა სახეობათა განვითარებას. იმავე წელს გაიხსნა ტოკიოს დისნეილენდი, ამით დაიწყო თემატურად მისი მსგავსი სხვა პარკების გახსნა მთელი ქვეყნის მასშტაბით. იაპონიის "საპნის ბუმტის

ეკონომიკის" დროს XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს სწრაფად გაიზარდა იაპონელ მოგზაურთა რიცხვი უცხოეთის კურორტებზე. "საპნის ბუმტის ეკონომიკის" ჩამოშლის შემდეგ, 1990 წლის დასაწყისში, უამრავი ადამიანი თავის თავისუფალ დროს ხარჯავდა სამოყვარულო საქმიანობაზე, მათ შორის სხვადასხვა ტიპის კერძო მეცადინეობაზე.

2000 წლიდან მოხდა თავისუფალი დროის გატარების საშუალებათა დივერსიფიცირება იაპონელი ხალხისთვის და ბევრს მიეცა შესაძლებლობა მათთვის გემოვნებისა და ხასიათის შესაფერისი განტვირთვის სახეობის ასარჩევად.

პენსიონერთა დასვენება



შიოგი დასავლეთში ცნობილია, როგორც "იაპონური ჭადრაკი".
(ფოტო Getty Images-სგან)

იაპონელები საპენსიო ასაკშიც ასევე აქტიურად ისვენებენ. ბევრი მათგანი, რომელიც ჯანმრთელობაზე არის ორიენტირებული, თავისუფალ დროს თამაშობს ჩოგბურთს ან გოლფს, დარბის ძუნძულით და ერთობა ლაშქრობითა და მთასვლელობით. ასევე დიდია სწავლისა და გაკვეთილებზე დასწრების ინტერესი პენსიონერებს შორის, რომლებიც დაკავებულნი არიან ცხოვრების მანძილზე სწავლით და ირჩევენ იმ თემებს, რაც მათ აინტერესებთ. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ლექციებსა და სემინარებში, რომლებიც იმართება ადგილობრივ კულტურულ ცენტრებსა და უნივერსიტეტებში.

ბევრი პენსიონერი ასევე მოგზაურობს მრავალი სხვადასხვა მიზეზის გამო, ისინი სტუმრობენ მათთვის საინტერესო ისტორიულ ადგილებსა და პეიზაჟებს ან ცხელი წყაროების კურორტებს ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. ასევე ბევრი მათგანი ირჩევს საზღვარგარეთ მოგზაურობას, რომელთა შორის უფრო დიდი პროპორციით ვხვდებით ხანდაზმულებს.

მოხუცებს ასევე დიდი სურვილი აქვთ ითამაშონ აქტიური სოციალური როლი და ეწევიან ადგილობრივ მოხალისეობრივ საქმიანობებს.

ოჯახზე ორიენტირებული დასვენების სახეობები

მაღალი ეკონომიკური ზრდის პერიოდში, იაპონიის დასაქმებული მოქალაქეები ეწეოდნენ კარიერაზე ორიენტირებულ ცხოვრებას, მაგრამ ბოლო წლებში გაჩნდა თავისუფალი დროის საკუთარი ოჯახის წევრებთან გატარების ტენდენცია და ყველაზე მეტად დასაქმებული მოზარდები დასვენების დღეებში მიისწრაფვიან ოჯახური საქმიანობისკენ. იაპონიაში შვებულების დღეები მოდის შემდეგი თანმიმდევრობით: ახალი წლის დღესასწაული, „ოქროს კვირა“ (აპრილის ბოლოდან მაისის დასაწყისამდე) და *ოზორი* (შუა აგვისტო). ბევრი ადამიანი იყენებს ამ დროს ოჯახებთან ერთად დასვენებისთვის ან სამოგზაუროდ. ასევე არსებობს

მრავალი საშუალება მთელი იაპონიის მასშტაბით, სადაც ოჯახებს შეუძლიათ ისიამოვნონ ზოოპარკებით, აკვარიუმებითა და მუზეუმებით. ეს ადგილები გადაჭედებულია ოჯახური ჯგუფებით უქმეებსა და დღესასწაულებზე. სულ უფრო და უფრო მეტი ოჯახი ეწევა კემპინგს და ლამპრობს მთებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში თანდათან უფრო ღრმავდება გარეთ ანუ სუფთა ჰაერზე დასვენებისადმი ინტერესი. იაპონელებში გარემოს დაცვის აუცილებლობისადმი გაძლიერებული შეგნების გამო, ქალაქად მცხოვრებნი შვილებთან ერთად იღებენ მონაწილეობას ან „ეკო ტურიზმში“, რათა გაეცნონ ადგილობრივი ტერიტორიების ბუნებრივ გარემოსა და კულტურას ან „მწვანე ტურიზმში“, რათა მიიღონ გამოცდილება რეგიონების სოფლის მეურნეობაში. ზოგიერთი მშობელი თავის შვილებს ასწავლის სახლის ტრადიციულ იაპონურ თამაშებს, როგორცაა *შიოგი* (ჭადრაკის მსგავსი თამაში) და *გო*. როგორც წესი, ბევრ ოჯახს სიამოვნებს ამგვარ თამაშებში დროის გაყვანა.

ბოლო დროს გაიზარდა კინოთეატრებიანი თუ სხვა ატრაქციონებიანი ფართო-მასშტაბიანი სავაჭრო ცენტრების რიცხვი გარეუბნებში, სადაც სულ უფრო მეტი ოჯახი დადის შოპინგზე შაბათ-კვირაობით.

ამასობაში უამრავი იაპონელი დაინტერესდა მებაღეობითა და საოჯახო სადურგლო საქმეებით და მიიჩნევენ, რომ ასე უკეთესად ატარებენ ყოველდღიურ ცხოვრებას. ასევე სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება კულინარიით, ნამცხვრების ცხობითა თუ ინტერიერის დიზაინით.

ბავშვთა დასვენების სახეობები

იაპონიაში ბავშვები თავისუფალ დროს სხვადასხვაგვარად ატარებენ: სკოლის შემდეგ, შაბათ-კვირას ან ზაფხულის არდადეგების განმავლობაში. სკოლის შემდეგ, შინ ან მეგობრის სახლში თამაშის გარდა, ერთობიან პარკებში ან სათამაშო მოედნებზე, სტუმრობენ ადგილობრივ ბიბლიოთეკებსა და საბავშვო ცენტრებს. როცა ბავშვები შინ მარტონი არიან, ხშირად ისვენებენ სამოყვარულო გართობის სხვადასხვა სახეობებით, როგორცაა ვიდეო თამაშები, ტელევიზორის ყურება, წიგნების კითხვა, მანგა, ხატვა, ხელსაქმე, პიანინოს ან გიტარის დაკვრა. ბავშვების საკმაოდ მცირე რაოდენობა თავიანთ დასვენების დღეებს ატარებს “მოსამზადებელ სკოლაში” ან დადის ცურვაზე და ფორტეპიანოს გაკვეთილებზე. როდესაც მოსწავლეები შედიან ჯუნიორთა უმაღლეს სკოლებში, უფრო მეტ დროს უთმობენ კლასგარეშე აქტივობებს, როგორცაა სპორტული თამაშები.

ასევე არსებობს საზოგადოებრივი ღონისძიებები ბავშვებისთვის, როგორცაა სპორტული კლუბების შეხვედრა შაბათ-კვირაობით და შეჯიბრი ბეისბოლის, ფეხბურთისა ან ფრენბურთის თამაშში, ისევე როგორც არსებობს სამეზობლო ბავშვთა გაერთიანებები, *კოდომოკაი*. ამასთან, სკოლებიც უთმობენ სპორტულ მოედნებს მოსახლეობას, რათა შაბათ-კვირას ბავშვებსა თუ მათ მშობლებს მიეცეთ იქ თამაშის საშუალება.

ზაფხულის არდადეგების განმავლობაში პოპულარულია ბავშვების მოგზაურობა ბანაკებში, სადაც ისინი ატარებენ დროს მშობლებისგან დამოუკიდებლად.

იაპონიას ასევე აქვს დაწყებითი სკოლის გახანგრძლივებული სისტემა იმ მოსწავლეთათვის, რომელთა მშობლებიც მუშაობენ. ამ ცენტრებში მოსწავლეებს შეუძლიათ წაიხემსონ, ითამაშონ მეგობრებთან ერთად და მოამზადონ გაკვეთილები სახლში წასვლამდე.

ახალგაზრდების დასვენების სახეობები

დღევანდელ დღესა და ეპოქაში, როდესაც ცხოვრების წესი უფრო მრავალფეროვანი ხდება, ახალგაზრდებს აქვთ დროის გატარების ფართო არჩევანი და არ არის დასვენების ერთი რაიმე საშუალება, რომელიც ჩაითვლებოდა ყველაზე პოპულარულად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ახალგაზრდა მისდევს მოდას და უყვართ უქმე დღეებში საყიდლებზე სიარული. ასევე პოპულარულია კარაოკეთი გართობა თავისუფალ დროს. ხალხს სიამოვნებს *კარაოკეზე* სიარული არა მარტო მეგობრებთან, არამედ კოლეგებთან და ოჯახის წევრებთან ერთადაც. არიან ისეთებიც, რომლებიც საკუთარ მომავალში დებენ დიდ ინვესტიციას, სწავლობენ უცხო ენებს და გადიან კურსებს კვალიფიკაციის მისაღებად ან ასამაღლებლად.

გაიზარდა „თემატური პარკის“ სტილის ცხელი წყაროების კურორტების რაოდენობა გარეუბნებში და ბევრი ახალგაზრდა ისვენებს ასეთ ადგილებში თავისუფალ დღეებში.

ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილი არჩევს თანამშრომლებთან ერთად მოგზაურობას. მათთვის ასე უფრო უმჯობესია, ვიდრე იმოგზაურონ მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან ერთად ან სულაც მარტო მოგზაურობენ.